

ს ა რ ჩ ე ვ ი :

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. განმუხურში განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: თ. მარკოზია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: დ. ესებუა - ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი

2. სხვადასხვა საკითხები.

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურისა
განვითარების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი N8**

ქ.ზუგდიდი

**7 ივლისი 2016 წელი
11:00 სთ-ზე**

2016 წლის 7 ივლისს შედგა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: თ.მარკოზია, ს.გოგოხია, რ.თორდია, მ.წოწერია; თ. თორდია, ე.ახალაია, გ.სორდია, ვ.სურმავა, მ.ხვიჩია, რ.ფიფია, ლ.თოდუა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: ზ.ხუბუა, გ.ნაჭყეებია.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი დავით ესებუა

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან და არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ლ.ფეტელავა

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 13 წევრიდან 11 წევრი. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე თემურ მარკოზია.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. განმუხურში განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: თ. მარკოზია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: დ. ესებუა - ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი

2. სხვადასხვა საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თ. მარკოზიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2016 წლის 6 ივლისის N02/2764 შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მომართვა რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. განმუხურში შ.პ.ს. „ბლექ სი რივიერა“-ს მიწის ნაკვეთზე გაცემული განაშენიანების რეგულირების გეგმის დავალების საფუძველზე, შ.პ.ს. „ბლექ სი რივიერა“-ს მიერ წარმოდგენილი განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვას : დ.ესებუას განმარტებით: ინფრასტრუქტურის კომისიის წინა სხდომაზე დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის დავალება, რის საფუძველზეც შ.პ.ს. „ბლექ სი რივიერა“-ს საპროექტო ჯგუფმა წარმოადგინა განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელის პრეზენტაცია გაიმართება 2016 წლის 8 ივლისის საკრებულოს სხდომაზე.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ზუგდიდის რაიონის სოფ.განმუხურში ტერიტორიის ფართობი შეადგენს 39 951 კვ/მ და არის შ.პ.ს. „ბლექ სი რივიერა“-ს საკუთრება.

პროექტის მიხედვით იგეგმება აღნიშნულ ტერიტორიაზე სასტუმრო კომპლექსის განთავსება. ტერიტორიაზე განთავსდება ერთი ძირითადი 6-7 სართულიანი შენობა გაბარიტული ზომებით 250x 20x 30მ. შესაძლოა ასევე განთავსდეს დამხმარე შენობები, მიწის ნაკვეთზე იქნება გამოყოფილი ავტოსადგომი 70 მანქანაზე. ტერიტორია განვითარდება საკურორტო-რეკრეაციული ზონა 2-ის მოტხოვნების შესაბამისად .

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთნ დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ აზრი არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ეყაროს კენჭი აღნიშნულ საკითხს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

დაადგინეს: საკითხი გატანილ იქნეს ბიუროზე შემდგომში საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა;

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:

თ.მარკოზია